



2. ნება დაერთოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2021 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე

